



The European Union
for Georgia
ENPARD



Food and Agriculture
Organization of the
United Nations



FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს

ENPARD III ფარგლებში

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

GCP/GEO/011/EC

საგრანტო სახელმძღვანელო

ხორციელდება FAO-ს მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

სექტემბერი, 2019 წ



The European Union
for Georgia
ENPARD



Food and Agriculture
Organization of the
United Nations



აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციის შინაარსი არის FAO-ს პასუხისმგებლობა და არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

ამ გამოცემაში გამოყენებული მასალა არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მოსაზრებებს რომელიმე ქვეყნის განვითარების სტატუსის, ტერიტორიის, ქალაქის ან მისი ხელისუფლების მასშტაბების, ან მისი საზღვრების დელიმიტაციის შესახებ. ამ დოკუმენტში კომპანიების ან კომპანიების მიერ ნაწარმები პროდუქციის ხსენება, მოიუხედავთ იმისა დაპატენტებულია ის თუ არა, არ გულისხმობს, რომ ისინი რეკომენდირებულია FAO- ს მიერ, ან რომ მათ FAO უპირატესობას ანიჭებს სხვა მსგავსი შინაარსის მქონე, ისეთ ნაწარმთან ან კომპანიებთან შედარებით, რომლებიც არ არიან ნახსენები ამ დოკუმენტში.



სარჩევი

| | |
|---|-------------------------------------|
| გამოყენებული ტერმინების განმარტება:..... | 4 |
| 1. შესავალი | 5 |
| 2. საგრანტო კომპონენტის აღწერა და დასაშვები კრიტერიუმი..... | 6 |
| 2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა | 6 |
| 2.2. ღირებულებათა ჯაჭვის შეზღუდვები | 9 |
| 2.3. განმცხადებლებისთვის დასაშვები კრიტერიუმები | 10 |
| 2.4. დასაშვები ინვესტიციები..... | 11 |
| 2. 4. 1. კაპიტალური ხარჯები:..... | 11 |
| 2.4.2. ოპერაციული ხარჯები | 12 |
| 3. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი | 13 |
| 4. განაცხადების მიღების პროცესი: | 15 |
| განაცხადების მიღების პროცესი არის შემდეგი სახის: | Error! Bookmark not defined. |
| I ფაზა: რეგისტრაცია | 16 |
| IV ფაზა: ბიზნეს გეგმის შემუშავება..... | 19 |
| V ფაზა: განაცხადებისთვის ქულების მინიჭება | 20 |
| VI ფაზა: განაცხადების შერჩევა..... | 20 |
| VII ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა | 21 |
| 1. ინვესტიციის განხორციელების გეგმის შემუშავება | 22 |
| IX ფაზა: ეტაპობრივი მიღწევები და ინვესტიციის განხორციელების ვიზიტები..... | 24 |
| X ფაზა: მონიტორინგი და ზეგავლენის შეფასების ვიზიტები: | 25 |



გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- თანამონაწილეობითი გრანტი: FAO-ს მიერ გაწეული საინვესტიციო მხარდაჭერა, ტექნიკა-დანადგარების შესაძენად.
- თანამონაწილეობითი კონტრიბუცია: ტექნიკის შესაძენად, გრანტის მიმღების კონტრიბუცია;
- საგრანტო ციკლი: განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაში FAO მიიღებს საგრანტო განაცხადებს;
- საგრანტო განაცხადი: განაცხადი, რომელიც მოიცავს პერსონალურ კითხვარს და საგრანტო განაცხადის ფორმას;
- საგრანტო ხელშეკრულება: FAO-სა და გრანტის მიმღებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომელიც ასახავს საინვესტიციო მხარდაჭერას, გრანტის მიმღების ვალდებულებებსა და ხელშეკრულების ზოგად დებულებებს;
- პროგრამის პლატფორმა: ელექტრონული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს მთავარ დამაკავშირებელ რგოლს განმცხადებელსა და FAO-ს შორის. ყველა საგრანტო განაცხადი აიტვირთება პლატფორმაზე;
- პერსონალური ფაილი: დაცული ინდივიდუალური ფაილი პროგრამის პლატფორმაზე, სადაც განმცხადებელს შეუძლია ატვირთოს თავისი საგრანტო განაცხადი და გადახედოს მის იმჟამინდელ სტატუსს;
- ტექნიკური შეფასება: FAO-ს ან მისი განმახორციელებელი პარტნიორის მიერ საგრანტო განაცხადების ტექნიკური მიმოხილვა, რომელიც ანალიზებს შემოთავაზებული საინვესტიციო მხარდაჭერის ზოგად ხედვას და კრიტერიუმებთან შესაბამისობას;
- სასავერიფიკაციო საკონტროლო ვიზიტი: განმახორციელებელი პარტნიორის მიერ განმცხადებლის საკუთრების საველე დათვალიერება, საგრანტო განაცხადში მოცემული ძირითადი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით;
- განაცხადების შეფასების კომიტეტი: დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობენ FAO-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, რომლებიც იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებებს წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებთან დაკავშირებით.



- ინვესტიციის განხორციელების გეგმა: დეტალური ვადები, რომელიც ასახავს სხვადასხვა აქტივობებსა და ნაბიჯებს , საინვესტიციო მხარდაჭერის გასახორციელებლად;
- განსაკუთრებულად წახალისებული ინვესტიცია: პროგრამის მიერ განსაკუთრებულად მხარდაჭერილი ინიციატივები , რომელთაც გააჩნიათ მაღალი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტი და რომლებიც წახალისებულია კონკრეტულად FAO-ს მიერ.

1. შესავალი

აღნიშნული საგრანტო სახელმძღვანელო აღწერს იმ ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და ფინანსურ პროცედურებს, კრიტერიუმებს, რომლებიც გამოყენებული იქნება თანამონაწილეობით საგრანტო პროცესში. აღნიშნული საგრანტო კომპონენტი ხორციელდება პროგრამის FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ENPARD III-ის ფარგლებში.

პროექტის მიზანია ფერმერი ქალბატონებისა და მამაკაცების, ასევე მცირე და საშუალო ზომის აგრო-ბიზნესების გაძლიერების ხელშეწყობა სათანადო ღონისძიებების გატარების გზით, რაც საშუალებას მისცემს მათ ჰქონდეთ წვდომა საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებზე, ტექნოლოგიებზე, ცოდნაზე, ფინანსებსა და ბაზრებზე სხვადასხვა საქმიანობების გზით, რომელსაც ისინი ახორციელებენ ღირებულებათა ჯაჭვში, წარმოებიდან პროდუქციის კომერციალიზაციამდე. ამასთან დაკავშირებით პროგრამა უზრუნველყოფს ფერმერების, კოოპერატივების, მცირე და საშუალო მეწარმეების და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში რათა გაიზარდოს სასოფლო სამეურნეო აქტივობების კონკურენტუნარიანობა მუნიციპალურ დონეზე.

საინვესტიციო მხარდაჭერა, პირველ რიგში ითვალისწინებს კერძო სექტორის წარმომადგენლების წახალისებას, (ფერმერების, კოოპერატივების, ადგილობრივი მეწარმეების, აგრობიზნესის, მცირე და საშუალო საწარმოების) აქტიურად



განახორციელონ თავიანთი საბაზრო როლები. საზოგადოებრივი ან სამთავრობო ჩარევა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევებში როდესაც ბაზარზე კერძო მოთამაშეები ვერ ახორციელებენ თავიანთ როლებს. ENPARD III პროექტის ფარგლებში, FAO- ს საინვესტიციო მხარდაჭერა პირდაპირი ბენეფიციარების მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება საგრანტო კომპონენტის ფარგლებში.

მოსალოდნელია, რომ პროექტის საქმიანობა დადებითად აისახება საქართველოში სურსათის წარმოებასა და სოფლის სიღარიბის აღმოფხვრის პარამეტრებზე.

პროექტი დაფინანსებულია ENPARD-ის მესამე ფაზის ფარგლებში და დაფუძნებულია FAO- სა და სხვა პარტნიორების მიერ განხორციელებული ENPARD I- სა და ENPARD II ფაზების პროექტების შედეგებზე.

2. საგრანტო კომპონენტის აღწერა და დასაშვები კრიტერიუმი

2.1. საგრანტო კომპონენტის აღწერა

ENPARD III პროგრამის ფარგლებში FAO- ს მხარდაჭერა ითვალისწინებს გრანტებს ინდივიდუალური ფერმერებისთვის, კოოპერატივებისთვის, სასოფლო მეწარმეებისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და მუნიციპალიტეტებისთვის, ინვესტიციების წახალისებისა და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნის მიზნით. საგრანტო კომპონენტი ეფუძნება ექვს ძირითად საინვესტიციო ტიპს.

- ტიპი 1: ინვესტიციები 8 ლიდერ მუნიციპალიტეტში, სადაც აპლიკანტებს ექნებათ შესაძლებლობა წარადგინონ ინვესტიციები შეზღუდვების გარეშე.

- ტიპი 2: ლიდერი მუნიციპალიტეტების მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში, შესაძლებელი იქნება შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტიციების წარდგენა (პირველადი წარმოების ჩათვლით).

- ტიპი 3: კოოპერატივებისთვის ქვეყნის მასშტაბით (ფუნქციონირების მინიმუმ 12 თვის ისტორიით), შესაძლებელი იქნება შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვის ფარგლებში ინვესტიციების წარდგენა (პირველადი წარმოების ჩათვლით).

- ტიპი 4: სხვა ინვესტიციები მთელი ქვეყნის მასშტაბით (არა მხოლოდ კოოპერატივებისთვის) რომელიც ქმნის/უმატებს ღირებულებას ღირებულებათა ჯაჭვში (გადამუშავება, შენახვა, მარკეტინგი, ბრენდინგი და ა.შ.) იმ პროდუქციას რომელიც პირველადი წარმოებით იწარმოა ლიდერ მუნიციპალიტეტებში (მაგ.



გადამამუშავებელი ქარხანა დაფინანსდება ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, თუ ის მოემსახურება 8 ლიდერი მუნიციპალიტეტიდან რომელიმეში ნაწარმოებ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას).

- ტიპი 5: განსაკუთრებული საინვესტიციო შემთხვევები ეროვნულ დონეზე და კონკრეტულ ღრეზულებათა ჯაჭვში შეზღუდვების გარეშე, თუ აპლიკაციის განხილვის კომიტეტის მიერ მიჩნეული იქნება როგორც „მაღალი ინტერესის მქონე“, როგორც მინიმუმ ერთი შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ✓ ინოვაციური პროექტი რომელიც მომავალში შეიძლება განმეორდეს საქართველოს მთავრობის ფონდის მიერ, სახელმწიფო მხარდაჭერის ფონდის მეშვეობით;
- ✓ პროექტი სამუშაო ადგილების შექმნისა და სოციალური მდგრადობის ზემოქმედებით, ან იმ სექტორში სადაც უმუშევრობის დონე მაღალია;
- ✓ ღირებულებათა ჯაჭვში მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროექტები; და
- ✓ პროექტები რომლებიც შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვით პრაქტიკას.

- ტიპი 6: მუნიციპალური ინვესტიციები 8 ლიდერ მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურის ან საზოგადოებისათვის მაღალი მნიშვნელობის მქონე სერვისის მიწოდებისათვის.

თითოეული ინვესტიციის სფეროს შეჯამება მოცემულია ცხრილში:

| ინვესტიციის ტიპი | პირველადი წარმოების დონე | ღირებულების დამატება პირველადი წარმოების გარდა (მაგ. გადამამუშავება, შენახვა, დისტრიბუცია) |
|---|--------------------------|--|
| 1/ 8 ლიდერი მუნიციპალიტეტები (ფერმერები, მცირე და საშუალო საწარმოები, კოოპერატივები) <u>ნებისმიერ ღირებულებათა ჯაჭვში</u> | ✓ | ✓ |
| 2/ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებში და შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში | ✓ | ✓ |



| | | |
|--|---|---|
| 3/ კოოპერატივები ლიდერი მუნიციპალიტეტების გარეთ, აქტიური შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში | ✓ | ✓ |
| 4/ ღირებულებათა ჯაჭვის ინვესტიციები ლიდერი მუნიციპალიტეტების გარეთ, შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში | | ✓ |
| 5/ გამონაკლისი საინვესტიციო შემთხვევები <u>ნებისმიერ ღირებულებათა ჯაჭვში</u> | ✓ | ✓ |
| 6/ მუნიციპალური ინვესტიციები 8 ლიდერ მუნიციპალიტეტში <u>ნებისმიერ ღირებულებათა ჯაჭვში</u> (ინფრასტრუქტურა და სერვისის მომწოდებელი) | | ✓ |

პროგრამით დაფინანსებულმა ყველა საინვესტიციო საქმიანობამ უნდა მოახდინოს დადებითი ზეგავლენა 8 მიზნობრივი მუნიციპალიტეტის ერთ ან მეტ მუნიციპალიტეტზე, გარდა მესამე და მეხუთე ტიპის ინვესტიციებისა, რომლებიც შეიძლება უშუალოდ არ იყვნენ სარგებლის მომტანი 8 მიზნობრივ მუნიციპალიტეტში, მაგრამ ეროვნულ დონეზე დადებითი შედეგების მომტანი იყოს. აქედან გამომდინარე, ყველა საინვესტიციო გეგმა პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული მიზნობრივ მუნიციპალიტეტებთან და ყველა განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს მუნიციპალიტეტებისთვის მათი საინვესტიციო გეგმების დადებითი ზეგავლენა. ეს განსაკუთრებით შეეხება საინვესტიციო გეგმებს, რომლებიც არ იქნება გეოგრაფიულად მდებარე მიზნობრივი მუნიციპალიტეტების დასახლებაში, მაგრამ მათთან იქნება ირიბად ჩართული / დაკავშირებული. 8 ლიდერი და 14 მიმდებარე მუნიციპალიტეტებია:

- ლაგოდეხი, კახეთი
- ყვარელი, კახეთი
- გურჯაანი, კახეთი
- დედოფლისწყარო, კახეთი
- სიღნაღი, კახეთი



- თეთრიწყარო, ქვემო ქართლი
- მარნეული, ქვემო ქართლი
- ბოლნისი, ქვემო ქართლი
- წალკა, ქვემო ქართლი
- დმანისი, ქვემო ქართლი
- გარდაბანი, ქვემო ქართლი
- ახალქალაქი, სამცხე-ჯავახეთი
- ნინოწმინდა, სამცხე-ჯავახეთი
- ბორჯომი, სამცხე-ჯავახეთი
- ახალციხე, სამცხე-ჯავახეთი
- ასპინძა, სამცხე-ჯავახეთი
- ყაზბეგი, მცხეთა-მთიანეთი
- დუშეთი, მცხეთა-მთიანეთი
- ქედა, აჭარა
- ხელვაჩაური, აჭარა
- ხულო, აჭარა
- შუახევი, აჭარა

2.2. ღირებულებათა ჯაჭვის შეზღუდვები

პროგრამა ზღუდავს ინვესტიციების განაცხადებს შერჩეულ ღირებულების ჯაჭვში (გარდა 1, 5 და 6 საინვესტიციო ტიპისა, სადაც არ არსებობს შეზღუდვა ღირებულების ჯაჭვის(ებ)ის ფოკუსში). შერჩეული ღირებულების ჯაჭვი, რომლებიც განსაკუთრებით მიზნობრივია 2, 3 და 4 საინვესტიციო ტიპებისთვის არის შემდეგი:

1. საქონლის ხორცის ღირებულებათა ჯაჭვი ყველა 8 ლიდერ მუნიციპალიტეტში;
2. რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი ყველა 8 ლიდერ მუნიციპალიტეტში;
3. ბოსტნეული ლაგოდებში, კახეთში;
4. ხორბალი დედოფლისწყაროში, კახეთში;
5. კარტოფილი ახალქალაქში, სამცხე-ჯავახეთში.

პროგრამის განხორციელების დროს შესაძლებელია შეიცვალოს ან გაიზარდოს შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვის სია.



2.3. განმცხადებლების შესარჩევი კრიტერიუმები

პროგრამის სამიზნე ბენეფიციარები არიან ინდივიდუალური ფერმერები, კოოპერატივები, მცირე და საშუალო მეწარმეები ან მუნიციპალიტეტები რომლებსაც ინვესტიციის განსახორციელებლად გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა და უნარი, ინვესტიციებისთვის როგორც ეს აღწერილია 2.1 პუნქტში.

თანადაფინანსების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად (მაგალითად, თანამონაწილეობითი გრანტი) განმცხადებლები უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს:

- პროგრამაში მონაწილე ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. ყველა განმცხადებელმა უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები, როგორც დეტალურად არის აღწერილი განაცხადის ფორმაში;
- პროგრამაში მონაწილე იურიდიული პირებისთვის კომპანიის უმეტესი წილის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- განმცხადებლები, ფიზიკური პირებისა და სამთავრობო სტრუქტურების გარდა, არ უნდა იყვნენ გაკოტრებული, ლიკვიდირებული და არ უნდა იყვნენ სასამართლოსთან დავაში;
- განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო თანაინვესტიციების შესაძლებლობის მტკიცებულება;
- განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ კაპიტალის ან / და სხვა აქტივების გამოყენების მტკიცებულება (ფიზიკური, იურიდიული), რომლებიც გამოყენებულია თავიანთ საინვესტიციო გეგმებში, მაგ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა, მანქანა, შრომა, უნარი და ა.შ;
- გრანტის მიმღებებს მოეთხოვებათ დარეგისტრირდნენ შემოსავლების სამსახურში და უნდა ქონდეთ საგადასახადო ნომერი;
- განმცხადებლებს არ უნდა ჰქონდეთ რაიმე სახის დავა შემოსავლების სამსახურთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ან სხვა შესაბამის ორგანოებთან;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ეთიკური და ბიზნესის სტანდარტების დაცვა, მათ შორის უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალობა საქმიანი ურთიერთობებით, ინტერესთა



კონფლიქტის გამორიცხვით, საქმიანობის აღრიცხვის წარმოების ნებისმიერი ფაქტობრივი გამოვლენით;

- განმცხადებლებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაეროს მიერ აკრძალულ საქმიანობაში; სხვა დახმარების პროგრამებში არ უნდა ქონდეთ დარღვევები (ვალდებულების არ შესრულება); ან არ უნდა იყვნენ FAO-ს პერსონალის პირდაპირი ნათესავი (მეუღლე, შვილი, მშობელი ან ძმა / და);
- განმცხადებლები უნდა შეთანხმდნენ ერთიან დაფინანსების პრინციპზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთი ინვესტიციის ორმაგი დაფინანსება, ანუ არ გამოიყენონ სხვა საგრანტო წყაროები ამ პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად; მოთხოვნილი მხარდაჭერა არ უნდა აღემატებოდეს იმ საინვესტიციო მხარდაჭერის მაქსიმალურ წვლილს, რომელსაც FAO უზრუნველყოფს თითოეული ბენეფიციარისთვის

2.4. დასაშვები ინვესტიციები

საგრანტო აპლიკაციის ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს (უნდა იყოს დაყოფილი) თანამონაწილეობითი გრანტისა (FAO-ს გრანტი) და გრანტის მიმღების მხრიდან დასაფინანსებელი კონტრიბუციისგან (გრანტის მიმღების მიერ გადასახდელი).

2. 4. 1. კაპიტალური ხარჯები¹:

პროგრამით გათვალისწინებული გრანტების გაანგარიშებით, მხოლოდ გარკვეული კაპიტალური ხარჯები განიხილება დასაშვებ ინვესტიციად.

ქვემოთ მოცემულია გარკვეული სახის კაპიტალური ხარჯები, რომლებიც არ შეესაბამება საგრანტო გათვლებს, მაგრამ შეიძლება შეტანილ იქნას აპლიკაციის თანამონაწილეობის ნაწილში:

- სამშენებლო ხარჯები (გარდა მე-6-ე ტიპის ინვესტიციისა, „მუნიციპალური ინვესტიცია“);
- ცოცხალი ცხოველების შეძენა (მხოლოდ დედა ცხოველი გუმჯობესებული ჯიშით, კომერციული საქმიანობასთან შესაბამისობაში)
- .

¹ კაპიტალური ხარჯები: ინვესტიცია ფიქსირებული აქტივების შესაძენად. ინვესტიცია განიხილება კაპიტალურ დანახარჯად, როდესაც ეს აქტივი ახლად შეძენილია ან ფული გამოიყენება არსებული აქტივის საექსპლუატაციო ვადის გასახანგრძლივებლად, მაგალითად სახურავის შეკეთება.



ქვემოთ მოცემულია კაპიტალური ხარჯების ჩამონათვალი, რომლებიც არ დაიშვება გრანტის გაანგარიშებისთვის და არც განაცხადის კონტრიბუციის ნაწილისთვის:

- ნაწილობრივი ინვესტიციები, როგორცაა დაწესებულების შენობის მშენებლობა, ინვესტიციის დაწყებამდე;
- ნებისმიერი მეორადი აღჭურვილობა/ ტექნიკა.
- დანადგარები ალკოჰოლური პროდუქციის წარმოებისათვის, გარდა მეღვინეობისა.

2.4.2. ოპერაციული ხარჯები²

ოპერაციული ხარჯები არ ექვემდებარება საგრანტო კონტრიბუციის გაანგარიშებას, არც აპლიკანტის საგრანტო კონტრიბუციას.

აგრეთვე პროგრამაში შემდეგი ხარჯები ითვლება მიუღებელ აქტივობებად:

- ტექნიკის შეძენა, რომელიც არ უკავშირდება პროექტის აქტივობას;
- წინა ვალდებულებები და/ ან ცუდი ვალები;
- ჯარიმები;
- ნებისმიერი ხარჯი, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გარემოსდაცვით ან სოციალურ რისკს;
- ნებისმიერი ხარჯი, რომელიც არ შეესაბამება FAO-ს ან / და ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებს;
- გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესყიდვა;
- ინვაზიური სახეობების შეძენა.

ინვესტიციების სათანადო განხილვა განხორციელდება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, FAO-ს ტექნიკური ჩართულობით. კონტრაქტის ხელმოწერამდე დოკუმენტაცია იქნება შემოწმებული. წინასწარი შემოწმებისას, შეუსაბამობის შემთხვევაში (მაგალითად, მიუღებელი ხარჯები), განმცხადებელს დაევალება ბიუჯეტის შეცვლა და FAO-ს ფინანსური წვლილი შესაბამისად შემცირდება. განმცხადებლებმა უნდა წარადგინონ რეალური ბიუჯეტი.

² საოპერაციო ხარჯი არის ხარჯი ბიზნესის გაზრდისთვის, ნორმალური ბიზნეს საქმიანობის მეშვეობით.



3. ზოგადი პრინციპები და საინვესტიციო მხარდაჭერის ზღვარი

თანადაფინანსების კონტრიბუციის მოთხოვნები განსაზღვრავს ბენეფიციარის მზაობას, რომ უზრუნველყოს პროექტის ფინანსური განხორციელება. პროგრამის მიხედვით ბენეფიციარებმა უნდა უზრუნველყონ მთლიანი ინვესტიციის მინიმუმ 60%-ის თანადაფინანსება.

საინვესტიციო საქმიანობა უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული, უნდა შეესაბამებოდეს 6 ტიპის ინვესტიციებს და პოზიტიური ზეგავლენა უნდა ჰქონდეს მიზნობრივ მუნიციპალიტეტებზე. ამასთან, მე -3 და მე -5 ტიპის ინვესტიციებს არ სჭირდებათ პირდაპირი ან არაპირდაპირი სარგებლის წარმოჩენა 8 მიზნობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, მაგრამ მათ უნდა მოახდინონ დადებითი გავლენის დემონსტრირება ქვეყნის დონეზე.

განსაკუთრებული საინვესტიციო შემთხვევები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში წახალისდება, ისარგებლებენ ტექნიკური მხარდაჭერითაც. FAO-ს მხრიდან ინვესტიციის თანადაფინანსების მაქსიმუმი შეიძლება გაიზარდოს 60%-მდე. ეს დამატებითი წახალისება, ბენეფიციარებისთვის დამატებით შეზღუდვებსა და ვალდებულებებს წარმოშობს. მაგალითად, განსაკუთრებული საინვესტიციო შემთხვევებისათვის შესაძლებელია დადგინდეს დამატებითი მოთხოვნა რომ შესყიდვები მოხდეს წინასწარ განსაზღვრული მიმწოდებლებისგან, ან რომ პრაქტიკაში იქნეს გატარებული კონკრეტული ტექნოლოგიები. გთხოვთ იხილოთ პრიორიტეტული ინვესტიციების ჩამონათვალი პროგრამის ვებ-გვერდზე და ასევე გაეცანოთ ინფორმაციას მხარდაჭერილი ინვესტიციების შესახებ.

მოთხოვნილი წვლილი რომელიც იქნება FAO-ს მხრიდან უზრუნველყოფილი არ უნდა იყოს 1,000 დოლარზე ნაკლები ან 150,000 დოლარზე მეტი, რომ განაცხადი კვალიფიცირდეს მისაღებად.

მოთხოვნილი მხარდაჭერა არ უნდა აღემატებოდეს ინვესტიციის ზღვარს და მაქსიმალურ კონტრიბუციას, რომელიც FAO-ს მიერ იქნება უზრუნველყოფილი, როგორც აღწერილია მოცემულ ცხრილში:



| ბენეფიციარები | FAO-ს მიერ უზრუნველყოფილი ინვესტიციის მაქსიმალური კონტრიბუცია (%-ში) | | ინვესტიციის მხარდაჭერის ზღვარი (დოლარი) |
|---------------------------|--|---|--|
| | სტანდარტული ინვესტიცია | მიზნობრივი ინვესტიცია, როგორც ეს აღწერილია პროგრამის ვებგვერდზე | |
| ყველა ტიპის ბენეფიციარები | 40% | 60% | მინიმუმ 1.000 დოლარი და მაქსიმუმ 50.000 დოლარი პირველადი წარმოებისთვის და კოოპერატივებისთვის მესამე კატეგორიის მიხედვით, ხოლო ყველა დანარჩენი ინვესტიციებისთვის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 150.000 დოლარამდე |

პროგრამა ითვალისწინებს ფულად სახსრებს ან ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაცემულ ფინანსურ გარანტიებს, რომლებიც იქნება გამოყენებული საინვესტიციო გეგმებში აპლიკანტის წვლილის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად. არაფულადი კონტრიბუცია (როგორცაა შრომა, მიწა, აღჭურვილობა და ა.შ.) ან დონორების დაფინანსება არ შეიძლება ჩაითვალოს აპლიკანტის კონტრიბუციად. ბენეფიციარებმა/აპლიკანტებმა უნდა უზრუნველყონ ალტერნატიული ფინანსური წყაროების მოძიება ხარჯების დასაფარავად, რომლებიც არ შედიან მისაღებ საინვესტიციო კატეგორიაში.

აპლიკანტის საგრანტო თანამონაწილეობა უნდა განხორციელდეს მინიმუმ პროგრამის დასრულებამდე სამი თვით ადრე.

შენიშვნა: ყველა განმცხადებელს ევალება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი გადასახადის / მოსაკრებლის გადახდა,



4. განაცხადების მიღების პროცესი:

ყველა აპლიკაცია უნდა იყოს წარდგენილი პროგრამის ვებ. გვერდის მეშვეობით: www.faogrants.ge.

საგრანტო განაცხადები მიიღება და შეფასდება პერიოდულად. განაცხადების მიღების ვადები გამოცხადდება ამ საგრანტო სახელმძღვანელოსგან დამოუკიდებლად პროგრამის ვებ-გვერდზე, განაცხადების მომზადებისა და წარდგენის სახელმძღვანელოებთან ერთად.

განაცხადების მიღება შემუშავდება FAO-ს მიერ განმახორციელებელ პარტნიორთან მჭიდრო თანამშრომლობით. განაცხადების მიღებამდე ინფორმაცია გამოქვეყნდება ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ:

- სად იქნება ხელმისაწვდომი პროექტის შესახებ ინფორმაცია (ვებ.გვერდი, საინფორმაციო ბროშურა);
- პროგრამაში მონაწილეობის მიღებისთვის, სასურველი ინვესტიციების სია;
- პრიორიტეტული ღირებულებათა ჯაჭვი და სხვა განსაკუთრებული საინვესტიციო შემთხვევები, მოთხოვნისამებრ;
- ბენეფიციარისთვის მხარდაჭერის მაქსიმალური ოდენობა
- განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა;
- როგორ უნდა მოითხოვოთ მხარდაჭერა განაცხადების დასაწერად.

განაცხადის მიღების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება პარტნიორების ჩართულობით, FAO- სთან შეთანხმებული ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია საგრანტო პროცესის სხვადასხვა ეტაპი. გაითვალისწინეთ, რომ განაცხადი შეიძლება უარყოფილ იქნას ნებისმიერ ეტაპზე. ასეთ შემთხვევაში:

- განმცხადებელი მიიღებს წერილობით განმარტებას უარის შესახებ.
- მოცემული იქნება განმარტებები უარის განმსაზღვრელი მთავარი მიზეზების შესახებ
- განმცხადებელი შეძლებს განაცხადების მომავალში ხელახლა წარდგენას.



I ფაზა: რეგისტრაცია

- ყველა განმცხადებელი უნდა დარეგისტრირდეს პროგრამის ვებ-გვერდზე და შექმნას პროფილი;
- რეგისტრაციისთვის, განმცხადებლებს მოეთხოვებათ პროფილის ინფორმაციის შევსება, პირადი ნომრის, საკონტაქტო ინფორმაციისა და სხვა მონაცემების მითითება;
- რეგისტრაციის გავლის შემდგომ ინფორმაცია გადამოწმდება პროგრამის გუნდის მიერ და განმცხადებლები მიიღებენ საიდენტიფიკაციო ნომერს პლატფორმაზე პირად ფაილებზე წვდომისათვის

შედეგი: განმცხადებელმა შექმნა დაცულ პლატფორმაზე პროფილი, წვდომისათვის საჭირო კოდებით.

II ფაზა: განაცხადების ფორმულირება

- საგრანტო განაცხადის აპლიკაციის ფაილის შექმნისთვის საჭიროა პლატფორმაზე შესვლა
- განაცხადი უნდა შეივსოს პირდაპირ პროგრამის ვებ-გვერდზე და უნდა დაერთოს ყველა საჭირო დოკუმენტი. ყველა განაცხადი, რომლის საგრანტო რაოდენობა 50 000 დოლარს აღემატება უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე. განაცხადები 50 000 დოლარზე ნაკლები რაოდენობით, შესაძლებელია მომზადდეს ქართულზეც და ინგლისურ ენაზეც;
- საგრანტო განაცხადის შეტანისთვის, განმცხადებელმა ჯერ უნდა შეავსოს პირადი კითხვარის ფორმა, სადაც კითხვები ეხება განმცხადებლის გამოცდილებას და პროფილს;
- პირადი კითხვარის შევსების შემდეგ, განმცხადებელს მოეთხოვება საგრანტო განაცხადის მომზადება. განაცხადის ფორმა შეიცავს თხრობის ნაწილს, სადაც ნათლად უნდა იყოს განმარტებული ინვესტიციის სტრატეგია და მიზნები. განაცხადის მეორე ნაწილი მოიცავს დეტალურ ბიუჯეტს, მათ შორის, შესასყიდი აღჭურვილობის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მომწოდებლების სახელებს, შემოთავაზებული ინვესტიციის ვადის ჩათვლით;
- ბოლოს, განაცხადის წარდგენის გადამოწმების მიზნით, განმცხადებლებს მოეთხოვებათ ატვირთონ დამხმარე დოკუმენტები, მათ შორის აღჭურვილობის კვოტირება, მიწის საკუთრების მოწმობები, საგადასახადო



სერტიფიკატი (კერძო კომპანიებისთვის). დამხმარე დოკუმენტების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ პროგრამის ვებ-გვერდზე;

- განმცხადებლებს შეუძლიათ განმახორციელებელი პარტნიორისგან მოითხოვონ დახმარება მათი განაცხადების შესავსებად. მუნიციპალიტეტების მიხედვით რეგიონალური კოორდინატორების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია პროგრამის ვებ-გვერდზე;
- განაცხადის მიღების ვადის შემდგომ შევსებული განაცხადი აღარ განიხილება;
- ერთ განმცხადებელს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი, ინდივიდუალური იქნება ეს თუ ერთობლივი. განმცხადებელს მხოლოდ ერთი განაცხადის შევსება შეუძლია თითოეული სააპლიკაციო ციკლისას;
- თუ ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ერთზე მეტი განაცხადი იქნება გაგზავნილი, ინდივიდუალური თუ ერთობლივი, ამ განმცხადებლის ყველა განაცხადი იქნება უარყოფილი;
- თითოეულ განაცხადს მიენიჭება სერიული ნომერი და დარეგისტრირდება დაცულ რეესტრში, განმცხადებლის მონაცემებთან ერთად. თითოეული განმცხადებელი მიიღებს ოფიციალურ დასტურს, განაცხადის სერიულ ნომერთან ერთად. დასტურის მიღება მოხდება ელექტრონულად (მაგ. ელექტრონული მეილით);
- განაცხადის გაგზავნის შემდგომ განმცხადებელი ვერ შეძლებს განაცხადების შესწორებასა და შეცვლას, FAO-ს სპეციალური შეფასების კომიტეტის ნებართვის გარეშე;
- განაცხადები უნდა შეივსოს პროგრამის ვებ-გვერდზე განთავსებული განაცხადის ფორმის გამოყენებით. განაცხადები, რომლებიც არ არის შევსებული და არ შეიცავს პროგრამულ პლატფორმაზე მოთხოვნილ ყველა დოკუმენტს შეიძლება უარყოფილი იქნას;
- კომერციული და არაკომერციული კომპანიების, კოოპერატივებისა და მუნიციპალიტეტების მიერ წარდგენილი განაცხადები ხელმოწერილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.

შედეგი: განმცხადებელმა შეავსო საგრანტო განაცხადი და მასთან დაკავშირებული ყველა დამხმარე დოკუმენტი პლატფორმაზე.

III ფაზა: განაცხადების შემოწმება



- პირველ ეტაპზე, განმახორციელებელი პარტნიორი განახორციელებს მიღებული დამხმარე დოკუმენტაციის წინასწარ შეფასებას და განიხილავს თავად განმცხადებლის უფლებამოსილებას;
- თუ განაცხადი ექვემდებარება პროგრამის პირობებს, შემდეგ მოხდება განაცხადის პირველი ტექნიკური განხილვა. პირველი ტექნიკური მიმოხილვა მიზნად ისახავს განაცხადის შესაბამისობის დადგენას გრანტის სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან, ასევე მიწოდებული კვოტების მიზანშეწონილობისა და დასაფინანსებელი თქნების საგრანტო პირობებთან და მეთოდთან თანხვედრის დადგენას. გრანტებისთვის 50.000 აშშ დოლარამდე ტექნიკური მიმოხილვა განხორციელდება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, ხოლო საგრანტო განაცხადებისთვის 50.000 აშშ დოლარის ზემოთ, FAO-ს მიერ.
- პირველი ტექნიკური შეფასების დროს, განმახორციელებელი პარტნიორი ან FAO შეაფასებს აგრონომულ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ შესაძლებლობებს:
 - 10 000 დოლარამდე საგრანტო განაცხადები შეფასების წარმატებით გავლის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე გადავლენ ბიზნეს გეგმის შემუშავების გარეშე;
 - თუ განაცხადი საჭიროებს კორექტირებას, განმახორციელებელი პარტნიორი (50,000 აშშ დოლარზე ნაკლები საგრანტო განაცხადისთვის) ან FAO (50,000 აშშ დოლარზე ზემოთ განაცხადებისთვის) დახმარებას გაუწევს განმცხადებლებს შეადგინონ და შეცვალონ თავიანთი განაცხადი საგრანტო სახელმძღვანელოში მოცემული პირობების მიხედვით. 10,000-დან 50,000 დოლარამდე გრანტის ოდენობის განაცხადებისთვის, განმახორციელებელი პარტნიორის მიერ ტექნიკური შეფასების წარმატებულად დასრულების შემთხვევაში, განმახორციელებელი პარტნიორი დაეხმარება განმცხადებელს ბიზნეს გეგმის შემუშავებაში;
 - თუ ექვემდებარება დგას განაცხადში მოცემული დეტალების მიზანშეწონილობა, განმახორციელებელი პარტნიორს (50,000 აშშ დოლარზე ნაკლები განაცხადებისთვის) შეუძლია უარყოს განაცხადებს, ხოლო ამ გადაწყვეტილებას გადაამოწმებს FAO. 50.000 აშშ დოლარზე მეტი განაცხადისთვის FAO-ს შეუძლია უარყოს განაცხადი თუ მოცემული დეტალების განხორციელების შესაძლებლობები დგას ექვემდებარებაში.



- მიწოდებული ინფორმაციის სისწორე და სისრულე არის განმცხადებლების პასუხისმგებლობა.

შედეგი: განხილულ იქნა განცხადების პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობა, განხორციელდა განაცხადების პირველადი ტექნიკური მიმოხილვა, რის შედეგადაც განცხადება კვალიფიცირდა როგორც მიღებული, საჭიროებს მოდიფიკაციას ან უარყოფილი.

IV ფაზა: ბიზნეს გეგმის შემუშავება

- ქვემოთ ჩამოთვლილ გარკვეულ გარემოებებში, განმცხადებელს მოეთხოვება განაცხადის ფორმასთან დამატებით, ბიზნეს გეგმის შედგენა. ამ ბიზნესგეგმაში მოცემული უნდა იყოს უფრო დეტალური ფინანსური ინფორმაცია ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსასაზღვრავად. ბიზნეს გეგმის წარდგენა საჭირო იქნება შემდეგ შემთხვევებში:
 - განმცხადებლებს რომლებიც მოითხოვენ 10,000-დან 50,000 აშშ დოლარს FAO-საგან, და რომლებიც გაივლიან განმახორციელებელი პარტნიორის მიერ საწყის ტექნიკურ განხილვას, განმახორციელებელი პარტნიორი ხელს შეუწყობს ბიზნეს გეგმის გამარტივებული ფორმის შევსებაში.
 - 50,000 აშშ დოლარზე მეტი საგრანტო თანხის FAO-საგან მოთხოვნის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ხელს შეუწყობს განმცხადებელს ბიზნეს გეგმის შედგენაში. ბიზნეს გეგმის დიზაინთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს დაფარავს FAO. მომსახურების მიმწოდებლის მიერ ბიზნეს გეგმის წარდგენის შემდეგ FAO მოითხოვს განმცხადებელთან პირად შეხვედრას რათა დარწმუნდეს რომ მომზადებული ბიზნეს გეგმა ასახავს განმცხადებლის ხედვასა და მზაობას. ბიზნეს გეგმის წარდგენამდე განმცხადებლებს მოეთხოვებათ ხელი მოაწერონ მიღების ფორმას, რომელიც დაადასტურებს ბიზნესის გეგმის სისწორესა და გადაცემას.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ პროგრამის ვებ-გვერდს.

შედეგი: 10,000 აშშ დოლარზე ზემოთ ყველა განაცხადისთვის შემუშავდა ბიზნეს გეგმა, რომელიც ავსებს განცხადების თხრობით ნაწილსა და ფინანსურ მაჩვენებლებს.



V ფაზა: განაცხადებისთვის ქულების მინიჭება

განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდგომ, ყველა განაცხადი ტექნიკურად გადამოწმდება და ქულები მიენიჭება FAO-ს მიერ, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

ქულების მინიჭების პროცესი მოხდება FAO-ს ექსპერტების მიერ თავდაპირველი განხილვით, შემდეგ კი სპეციალური ჯგუფის (FAO-ს შიდა ან გარეშე ჯგუფი) მიერ ხელმეორე განხილვის საფუძველზე. ორმაგი განხილვის პროცედურა უზრუნველყოფს გამჭვირვალე და და ობიექტურ პროცესს.

- განმცხადებელს მოეთხოვება 100 ქულიდან მინიმუმ 70-ის მიღება. განაცხადები რომლებიც ვერ მოაგროვებენ 70 ქულას შემდგომში ვერ გადავლენ შეფასების მომდევნო საფეხურზე;

ყველა განაცხადის, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ ზღვრულ მოთხოვნებს, ჩამონათვალის სია, გადაეგზავნება FAO-ს განსახილველად და დასამტკიცებლად.

შედეგი: განაცხადებს მიენიჭა ქულები. 70-ზე ნაკლები ქულის მქონე განაცხადები უარყოფილია. ყველა განაცხადისთვის, რომელთაც აქვთ 70 და მეტი ქულა, მოეწყო საველე/საინსპექციო ვიზიტი. თუ ვიზიტის დროს არ იქნა აღმოჩენილი ძირითადი შეუსაბამობები, განაცხადები წარედგინება განაცხადების განხილვის კომიტეტს.

VI ფაზა: განაცხადების შერჩევა

- საბოლოო საინვესტიციო მხარდაჭერის გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების შეფასების კომიტეტი. კომიტეტის წევრები იქნებიან FAO-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები. თითოეული კომიტეტის წევრი ფლობს ერთ ხმას გრანტის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. FAO-ს მოთხოვნის საფუძველზე დაკვირვების მიზნით მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ პარტნიორი და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის წევრებს, ან სხვა შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებს;



- განცხადების შეფასების კომიტეტს შეუძლია დაამტკიცოს, ან უარყოს თითოეული განცხადება, ან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, ან დაამატოს პირობები დამტკიცებისთვის. ეს უნდა მოხდეს კომისიის სამივე წევრთან შეთანხმებით (სამინისტროს, ევროკავშირისა და FAO-ს წარმომადგენლები);
- მომზადდება შეფასების კომისიის კომიტეტის სხდომის ოქმები. თითოეულ განცხადებაზე დაიწერება შერჩევის ან უარყოფის ახსნა-განმარტებითი მიზეზები. მოთხოვნის შემთხვევაში განმცხადებლებს გადაეცემათ წერილობითი რეკომენდაციები;
- საგრანტო განაცხადების დამტკიცების შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოო და შეუქცევადია, თუმცა განმცხადებლებს შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი მომდევნო განცხადებების მიღების მომდევნო ტურის დროს, მხოლოდ განცხადების გაუმჯობესებული ვერსიით. განცხადების შეფასების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გასაჩივრებას. უარის თქმის ან გადარჩევის შემთხვევაში, ამ შედეგის წერილობითი დადასტურების შემდეგ, გადაწყვეტილება არ ექვემდებარება შემდგომ მიმოწერებსა თუ განხილვებს.
- განაცხადების შერჩევისას, FAO-ს შეუძლია მოითხოვოს დამატებით ინფორმაცია განმცხადებლისგან იმისათვის, რომ მოხდეს სრულყოფილი საბაზისო ინფორმაციის შეგროვება;
- გაგზავნილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია არ დაუბრუნდება განმცხადებელს, არც სხვა უწყებებს არ გადაეცემა, განმცხადებლის ფორმალური დასტურის გარეშე.

შედეგი: განაცხადების განხილვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ. მომზადებულია შეხვედრის ოქმი.

VII ფაზა: საგრანტო ხელშეკრულების შემუშავება და ხელმოწერა

- განაცხადებისთვის რომლებიც დააგროვებენ 70 ან მეტ ქულას, განმახორციელებელი პარტნიორი ჩაატარებს საველე, საინსპექციო ვიზიტს 10,000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების FAO-ს გრანტისთვის. ვიზიტი მიზნად ისახავს



შეამოწმოს აპლიკაციებისა და მხარდამჭერი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა.

- საველე ვიზიტის დასკვნებსა და განაცხადებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში განმცხადებელს მოეთხოვება განაცხადის შეცვლა, ვიზიტის შედეგების ასახვის მიზნით;
- საველე ვიზიტის შედეგებსა და განაცხადებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობების შემთხვევაში, FAO- მ შეიძლება გადაწყვიტოს საგრანტო განაცხადის უარყოფა;

1. ინვესტიციის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება

- შერჩევას, მომავალ ბენეფიციართან ერთად, FAO განიხილავს განაცხადში შემოთავაზებული ინვესტიციის ვადებს და განსაზღვრავს ინვესტიციის განხორციელების გეგმას, რომელიც მოიცავს:

ა) *სამუშაოების და საქმიანობის განხორციელების სქემა, მათ შორის კონკრეტული ეტაპები, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს ბენეფიციარის მიერ საჭიროების მიხედვით;*

ბ) *მხარდაჭერის მოდალობა (საგრანტო დახმარება, ტექნიკური დახმარება ან ორივე), ეფექტურობის და ეფექტიანობის გათვალისწინებით;*

გ) *შესაბამისი საგრანტო განაცხადის დამტკიცებული ბიუჯეტი, მათ შორის შესასყიდი აღჭურვილობების დეტალური ჩამონათვალი, ინვესტიციების დაფინანსების დეტალები (თანამონაწილეობითი გრანტი, განმცხადებლის კონტრიბუცია, გამონაკლისი საინვესტიციო შემთხვევები და შესაბამისი მომწოდებლები);*

დ) *გრანტის ჩარიცხვის გრაფიკი, რომელშიც გადახდები განპირობებულია საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრული ნაბიჯების მიღწევით. ჩარიცხვის გრაფიკი მორგებული იქნება თითოეულ ინვესტიციაზე, ინვესტიციის განხორციელებისათვის საჭირო საფეხურების შესაბამისად;*

ბენეფიციარი სრულად არის პასუხისმგებელი დატკიცებული ინვესტიციის სწორად განხორციელებაზე.



2. სესხის მიღება:

იმ შემთხვევაში, როდესაც თანადაფინანსება საბანკო სესხით ხდება და თუ ეს სესხი ჯერ არ არის დამტკიცებული, FAO ბენეფიციარს გადასცემს მოგებული გრანტის შესახებ დამადასტურებელ წერილს სესხის განაცხადის მხარდასაჭერად. ბანკიდან სესხის გაცემის შესახებ დამადასტურებელი წერილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბენეფიციარის თანამონაწილეობისათვის საჭირო გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი საბუთი. საგრანტო ხელშეკრულება

სათანადოდ მომზადებული საგრანტო ხელშეკრულებაზე, რომელიც მოიცავს ზოგად პირობებს, დამტკიცებულ ბიუჯეტს, შესასყიდი აღჭურვილობის დეტალურ ჩამონათვალს და ინვესტიციის განხორციელების გეგმას, მთავარი ხელმომწერები არიან FAO და პროგრამის ბენეფიციარი.

საინვესტიციო მხარდაჭერის წარმართვა მოხდება FAO-ს მიერ, საგრანტო ხელშეკრულებისა და FAO-ს ყველა სხვა დადგენილი წესის შესაბამისად.

შედეგი: საგრანტო ხელშეკრულება მომზადდა მომავალი გრანტის მიმღებთან თანამშრომლობით, ასევე შედგა დეტალური ინვესტიციის განხორციელების გეგმა, დამტკიცებული ბიუჯეტი და შესასყიდი აღჭურვილობის დეტალური ჩამონათვალი. თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობი სესხის მეშვეობით მოხდება, კომიტეტის შეხვედრის ოქმის ასლი ეგზავნება განმცხადებელს. გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ საგრანტო ხელშეკრულებას ხელს აწერენ გრანტის მიმღები და FAO.

VIII ფაზა: გრანტის გადახდა

შესაბამისი გრანტის გადახდა განხორციელდება უშუალოდ მიმწოდებლის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც მოხდება ბენეფიციარის მიერ გრანტის თანამონაწილეობის გადახდა და ტექნიკის ეფექტური მიწოდება. ნივთების გადაცემის ხელშეკრულება უნდა უნდა გაფორმდეს გრანტის მიმღებსა და მიმწოდებელს შორის, რომელსაც დაამოწმებს განმხორციელებელი პატრნიორი და/ან FAO-ს წარმომადგენელი რის შემდეგაც იგი აიტვირთება პლატფორმაზე. აღჭურვილობის წარმატებით შესყიდვის შემდეგ FAO გადაუხდის მის წილს მიმწოდებელს შეფერხების გარეშე. განმხორციელებელი პატრნიორის მიერ შესყიდვის მონიტორინგისთვის ვიზიტი გამოყენებული იქნება საბაზისო ინფორმაციისთვის, რომელიც ასევე აიტვირთება პლატფორმაზე.



FAO გადახდას ყოველთვის განახორციელებს მხოლოდ მიმწოდებლის ანგარიშზე პირდაპირ, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა.

განსაკუთრებული გარემოებებით გამოწვეულ შემთხვევებში (მაგალითად იმპორტის ხანგრძლივი შეფერხებებით) საგრანტო განაცხადის წარდგენის შემდეგ, მაგრამ საგრანტო პროგრამაში გამარჯვებამდე და გრანტის დამტკიცებამდე, გაწეული აუცილებელი ხარჯები (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ხარჯების შესახებ ინფორმაცია შეყვანილი იყო თავდაპირველ საგრანტო ბიუჯეტში) შეიძლება ჩათვლილი იქნეს როგორც ბენეფიციარის საგრანტო თანამონაწილეობის წილი. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარს შესაბამისი ინვოისები და მიწოდების დამადასტურებელი ფორმები ექნება წარსადგენი FAO-სთვის დამხმარე დოკუმენტებთან ერთად, იმისათვის რომ FAO-მ გადაურიცხოს მიმწოდებელს საგრანტო თანამონაწილეობის მისი წილი.

FAO-ს რეგულაციების თანახმად, გადახდა აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში მოხდება გაეროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად³.

სხვადასხვა ტრანშის შემთხვევაში, მომდევნო ტრანშის გადახდა ექვემდებარება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ ინვესტიციის განხორციელების წინა ეტაპზე განსახორციელებელი აქტივობების შესრულების გადამოწმებას, როგორც ეს მოცემულია შემდეგ ნაწილში.

შედეგი: გრანტის ბენეფიციარის წილის გადახდის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ FAO განახორციელებს პირველ გადახდას უშუალოდ მიმწოდებლის ანგარიშზე.

IX ფაზა: ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობები და ინვესტიციის განხორციელების შესამოწმებელი ვიზიტები

განმახორციელებელი პარტნიორი რეგულარულად შეასრულებს საინვესტიციო აქტივობების განხორციელების მონიტორინგისთვის ვიზიტებს, რათა შეამოწმოს ბენეფიციართა საგრანტო შეთანხმების მიხედვით პასუხისმგებლობების შესრულება

³ გაცვლითი კურსის შესახებ გაერო ინფორმაცია აქვეყნებს ამ მისამართზე:
<https://treasury.un.org/operationalrates/OperationalRates.php#I>



და მოახდინოს მომდევნო საგრანტო გადახდამდე მიზნობრივი შემოწმება (რომელიც შეიძლება მოხდეს მიღწეული შედეგების შესაფასებელ ვიზიტთან ერთად). პირველი ვიზიტი უნდა განხორციელდეს პირველ გადახდასთან დაკავშირებული აღჭურვილობის მიწოდების დროს.

საგრანტო თანხის საფეხურებად/ტრანშებად გადახდის შემთხვევაში, განმახორციელებელი პარტნიორი განახორციელებს ერთ ვიზიტს ყოველი გადახდის შემდეგ. ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობების შესრულება უნდა იყოს დამოწმებული განმახორციელებელი პარტნიორის მიერ წერილობით „ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობების სასერთიფიკაციო დასკვნაში“ საგრანტო ხელშეკრულებაში მითითებული თითოეული საგრანტო გადახდის განხორციელებამდე. FAO-ს შეუძლია განახორციელოს საველე შემოწმება ადგილზე პროგრესისა და საინვესტიციო აქტივობების შესრულების სანახავად.

განმახორციელებელი პარტნიორი ანგარიშს წარუდგენს FAO-ს საგრანტო შეთანხმებაში განსაზღვრული გრაფიკისა და/ან პირობების მოსალოდნელი შეფერხებების თაობაზე. საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბენეფიციარის ინიციატივით ნებისმიერი სახის ცვლილებების შესახებ მოთხოვნა ფორმალურად უნდა იყოს დამტკიცებული FAO-ს მიერ წერილობითი ფორმით, როგორც მითითებულია საგრანტო ხელშეკრულების დებულებაში.

ვიზიტების მთავარი მიზანია საინვესტიციო თანხების სწორად და მიზნობრივად გამოყენებისა და საინვესტიციო გეგმის სწორად შესრულების შემოწმება.

შედეგი: საგრანტო თანხის საფეხურებად/ტრანშებად მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში ეტაპობრივი საინვესტიციო აქტივობების განხორციელება დამოწმებულია განმახორციელებელი პარტნიორის მიერ საველე ვიზიტის საფუძველზე საგრანტო თანხის FAO-ს წილის ყოველი მომდევნო გადარიცხვის წინ.

X ფაზა: მონიტორინგი და პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესახებ შეფასების ვიზიტები:



საინვესტიციო აქტივობების განხორციელების შედეგად პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესახებ შეფასებისათვის გაცემული გრანტები დაიყოფა ორ კატეგორიად და თითოეულისთვის გამოყენებულ იქნება სხვადასხვა პროცედურები მთელი პროგრამის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, საინვესტიციო აქტივობების განხორციელების შედეგად პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესაფასებელი ვიზიტები შეიძლება გაერთიანდეს წინა განყოფილებაში აღწერილი ინვესტიციების განხორციელების ვიზიტებთან.

| ვიზიტები ადგილზე | პირველადი ვიზიტები | მონიტორინგი | პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესაფასებელი ვიზიტი | |
|--------------------|---|-------------|---|--------------------|
| კატეგორია 1 | პროექტები ღირებულებათა ჯაჭვში > \$50,000 | 1 ვიზიტი | ტექნიკის მიწოდების შემდგომი ერთი ვიზიტი | 2 ვიზიტი წელიწადში |
| | პროექტები ღირებულებათა ჯაჭვში \$1,000-\$10,000 | | ტექნიკის მიწოდების შემდგომი ერთი ვიზიტი | 2 ვიზიტი წელიწადში |
| | პროექტები ღირებულებათა ჯაჭვში \$10,000-\$50,000 | 1 ვიზიტი | ტექნიკის მიწოდების შემდგომი ერთი ვიზიტი | 2 ვიზიტი წელიწადში |
| კატეგორია 2 | პროექტები პირველად წარმოებაში \$1,000 - \$10,000 | | ტექნიკის მიწოდების შემდგომი ერთი ვიზიტი | 1 ვიზიტი წელიწადში |
| | პროექტები პირველად წარმოებაში \$10,000 - \$50,000 | 1 ვიზიტი | ტექნიკის მიწოდების შემდგომი ერთი ვიზიტი | 1 ვიზიტი წელიწადში |

1 კატეგორიის გრანტები: გრანტებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება პირველადი წარმოებას ან ჯამში 50,000 აშშ დოლარზე მეტის ღირებულებისაა, განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია განახორციელებს მონიტორინგის პირველ ვიზიტს ბენეფიციარებთან როდესაც მოხდება პირველი გადახდის განხორციელება. წელიწადში განხორციელდება მინიმუმ ორი პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესაფასებელი ვიზიტი.

ეს ვიზიტები გამოყენებული იქნება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, როგორც შესაძლებლობა გაუწიოს დახმარება და რჩევა პროგრამის ბენეფიციარებს რათა გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა და უზრუნველყონ ეფექტური ბიზნეს



ოპერაციების დანერგვა. ამ ვიზიტების საფუძველზე განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია ასევე შეაგროვებს განახლებულ ინფორმაციას თითოეულ ბენეფიციარზე საინვესტიციო პასუხისმგებლობების შესრულების თაობაზე. გრანტის მიმღებებს ასევე ეცნობებათ სხვა ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ, როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო.

2 კატეგორიის გრანტები: პირველადი წარმოების გრანტებისთვის რომლებიც დასაფინანსებლად არ აჭარბებენ 50,000 აშშ დოლარს განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია განახორციელებს მონიტორინგის პირველ ვიზიტს მას შემდეგ რაც მოხდება საგრანტო ოდენობის პირველი გადახდის განხორციელება, წელიწადში მინიმუმ ერთი პროგრამის მაჩვენებლებზე დადებითი ზემოქმედების შესაფასებელი ვიზიტით.

ეს ვიზიტები გამოყენებული იქნება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, როგორც შესაძლებლობა გაუწიოს დახმარება და რჩევა პროგრამის ბენეფიციარებს რათა გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა და უზრუნველყონ ეფექტური ბიზნეს ოპერაციების დანერგვა. ამ ვიზიტების საფუძველზე განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია ასევე შეაგროვებს განახლებულ ინფორმაციას თითოეულ ბენეფიციარზე საინვესტიციო პასუხისმგებლობების შესრულების თაობაზე. გრანტის მიმღებებს ასევე ეცნობებათ სხვა ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ, როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო.

საინვესტიციო აქტივობებისა და ვიზიტების განხორციელების შემდეგ განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია შეადგენს და შეინახავს ინფორმაციას და პროგრესის სტატუსის შესახებ მონაცემებს თითოეულ ბენეფიციარზე. ყველა ინფორმაცია FAO-ს თანამონაწილეობის შესახებ, მიღწევების, გამოწვევების, წინააღმდეგობებისა და მიღებული გადაწყვეტილებების, ისევე როგორც შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია შეჯამდება და შეინახება „თანაინვესტირების შეთანხმების შესახებ ანგარიშგების შაბლონში“ და იქნება წარმოდგენილი თითოეული ბენეფიციარისთვის ინდივიდუალურად ფაილში პროგრამის პლატფორმაზე. ეს მონაცემები მოიცავს ინფორმაციას ბენეფიციარის ბიზნესის მდგომარეობის შესახებ, როგორც გრანტის გაცემამდე, ისე მის შემდგომ.



განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის გუნდი პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა შეგროვებასა და თითოეული ბენეფიციარისთვის პროგრესის მონიტორინგზე, და მის შედარებაზე კონკრეტული პერიოდისათვის დადგენილ მიზნებსა და ამოცანებთან. იმ შემთხვევაში თუ განმახორციელებელი პარტნიორი დაადგენს, რომ ბენეფიციარი არის "მაღალი რისკის" შემცველი, დასახული ამოცანების შეუსრულებლობის გამო, ან იმის გამო რომ გააჩნია ფინანსური პრობლემები, არასაკმარისი მართვისა და კონტროლის სისტემები, ან ვერ ჯდება გრანტის ვადებსა და პირობებში, განმახორციელებელი პარტნიორი აცნობებს FAO-ს რის შემდეგაც იგი მიიღებს მითითებას საჭირო ზომების მისაღებად. მიღებული ზომები შეიძლება მოიცავდეს შეთანხმებაში ცვლილების შეტანას, მის დროებით შეჩერებას, ან შეწყვეტას სრულად ან ნაწილობრივ.

შედეგი: რეგულარული თანმიმდევრული და სამეთვალყურეო ვიზიტები ხორციელდება განმახორციელებელი პარტნიორის მიერ, რათა მოგროვილ იქნას ინფორმაცია და მონაცემები FAO-სთვის პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და ბენეფიციარისთვის საჭიროებებისა თუ გამოწვევების გამოსავლენად.